ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 27.04.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 006/23

შეკითხვა:

ორი კომპანიის მიმართ, სხვადასხვა დროს დაწყებულ გადახდისუუნარობის საქმისწარმოებაში, პარტნიორებმა ადვოკატი, საქმისწარმოების გაადვილების მიზნით პროკურისტად დანიშნეს ორივე კომპანიაში. ამ პერიოდში დირექტორისა და პარტნიორების მიმართ დაიწყო სისხლის სმართლის საქმის წარმოება. ადვოკატმა გამოწერა ორდერები და საქმეში, ბრალდებულების ინტერესების დასაცავად ჩაერთო. საქმეზე პროკურორმა იშუამდგომლა ადვოკატის აცილება, რომელიც დაკმაყოფილდა. ამჟამად პროკურორი ითხოვს ადვოკატის მოწმის სახით დაკითხვას.

ხომ არ დაარღვევს ადვოკატი პროფესიულ ეთიკას თუ ის მისცემს ჩვენებას გამოძიებას?

ანალიზი:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1. "ა"; "ბ").

ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში. (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1.2).

არ შეიძლება ადვოკატი დაიკითხოს მოწმედ იმ საქმეზე, რომელშიც იგი მონაწილეობდა, როგორც ადვოკატი (დამცველი ან წარმომადგენელი). (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.3).

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ კლიენტის თანხმობით, იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებლია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს, ან იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიღებული ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას. (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1[1]. "ა"; "ბ"; "გ").

"კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, აღნიშნული, გარდა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაციისა, მოიცავს, ასევე, კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. ამასთან, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში" (ეთიკის კომისიამ 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე №094/11)

თავისი შინაარსით სამეწარმეო საზოგადოებაში, პროკურის სტატუსი პირს ანიჭებს, ფართო უფლებამოსილებას, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით, კომპანიის სახელით განახორციელოს რიგი მოქმედებები. კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატი კომპანიაში პროკურის სტატუსს, კომპანიისთვის იურიდიული მომსახურეობის გაწევის მიზნით იყენებდა, რაც მის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე, პროფესიული ეთიკის კოდექსის გავრცელების საფუძველს ქმნის. შესაბამისად, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კითხვაში აღწერილი ფაქტების შეფასებით, ვინაიდან ადვოკატი პროკურისტის სტატუსის მეშვეობით ახორციელებდა პროფესიულ საქმიანობას, მას ეკისრება პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება.

დასკვნა:

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატის მიერ, კომპანიისთვის, პროკურისა და ბრალდებულების უფლებადამცველის სტატუსით გაწეული იურიდიული მომსახურეობის პერიოდში მოპოვებული ინფორმაცია, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. ადვოკატს, გასული დროის მიუხედავად, ეკისრება ვალდებულება დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, ხოლო ის ფაქტი, რომ გამომძიებელი ადვოკატისგან ითხოვს ინფორმაციის მიწოდებას არ ათავისუფლებს მას პროფესიული ვალდებულებისგან, შესაბამისად, თუ ადვოკატი, საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას მისცემს ჩვენებას ის დაარღვევს პროფესიული ეთიკას.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.